ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

კომისიის სხდომის ოქმი N 04

დ. ლენტეხი. 08.07.2024 წ

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების მართვის

კომისიის სხდომის

დასწრების ფურცელი

| | | |
|---|---|---|
| დ.ლენტეხი | | 08.07.2024 წ. |
| კომისიის თავმჯდომარე: | | /დ.ტვილდიანი/ |
| 1.წევრი: | | /მ.ლიპარტელიანი/ |
| 3.წევრი: | | /სოსო ავალიანი/ |
| 4.წევრი: | | / ა.ქურასბედიანი / |
| 5.წევრი: | | /ნინო ბენდელიანი/ |
| 6.წევრი: | | /მირიან ლიპარტელიანი/ |
| 7.წევრი: | | /ზურაბ ზურაბიანი/ |

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების მართვვის კომისიის

თავმჯდომარე: / დ.ტვილდიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების

კომისიის სხდომა N -02

დ. ლენტეხი 08 07.2024 წ.

დღის წესრიგი:

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიშის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;

მომხს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე /დალი ტვილდიანი/

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის

თავმჯდომარე: /დალი ტვილდიანი/

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის

და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის სხდომა

N 04

დ.ლენტეხი. 08.07.2024 წ.

მიმდინარე წლის 7 აგვისტოს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, კომისიის წევრები ნინო ბენდელიანი, ზურაბ ზურაბიანი,მევლუდ ლიპარტელიანი, ამირან ქურასბედიანი, მირიან ლიპარტელიანი,სოსო ავალიანი, ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების მოსაკრებლების ადმინისტრირებისა და კონტროლის განყოფილების უფროსი ირა გვიჭიანი.

ქონების მართვის და ბუნებრივინ რესურსების კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ანგარიში - 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ;**

ეკონომიკური განვითარების სამსახურის განყოფილების უფროსმა ირა გვიჭიანმა კომისიის წევრებს გააცნო ანგარიში - 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. აღნიშნა, რომ საპრივატიზებოდ გამოტანილი იქნა და გაიყიდა შემდეგი ქონება:

1.ა/ მანქანა ( ავტობუსი) XIM- 2956, სახ. N LIG -201 ძრავის N247106, ყვითელი ფერის, გამ. წელი 2007 გაუმართავი. გაიყიდა;

2. ავტომანქანა SKODAOQTAVIA. სახ. NAA- 545-JJ. გამოშვების წელი 2011 გაუმართავი. გაიყიდა;

3. მომზადებულია და აუქციონზე გატანილია უძრავი ქონება , არასაცხოვრებელი ფართი 716 კვ.მ. ( ჭველიერის ყოფილი სკოლა ინტერნატის შენობა) აუქციონზე გასატანი ქონების საერთო ღირებულება იყო ( გამოცხადებული) 18723 ლარი. ხოლო გაყიდვის შემდეგ მიღებულმა თანხამ ჯერჯერობით შეადგინა 2573 ლარი.

საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავჯდომარემ დალი ტვილდიანმა ლენტეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების მოსაკრებლების ადმინისტრირების ა და კონტროლის განყოფილებუის განყოფილების უფროსს ირა გვიჭიანს დაუსვა შეკითხვა:

**დაბალანსდება თუ არა ის თანხა რაც წლის დასაწყისში იყო დაგეგმილი?**

რაც წლის დასაწყისში იყო დაგეგმილი დაბალანსდება , 15.000 -ით არის შეფასებული.

ნინო ბენდელიანმა დასვა შეკითხვა:

**გაყიდული ქონების თანხა შედის თუ არა მერიის კუთვნილებაში და რა დანიშნულებით ხდება კონკრეტული თანხის განკარგვა?**

**პასუხად აღინიშნა, რომ გაყიდული ქონებიდან მიღებული თანხა მერიის განკარგულებაშია და მისი განკარგვა ხდება დანიშნულების მიხედვით. თანხა არის გამჭვირვალე;**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ რაც შეეხება მოსაკრებლებს წელს წინა წლებთან შედარებით ნაკლები ხელშეკრულება გვაქვს. სულ გაფორმებულია 44 ხელშეკრულება, მოსკარებლის თანხას იხდის მხოლოდ 4 მაღაზია დანარჩენები გადაუხდელობის იზეზად ასახელებენ დიდი სავაჭრო ქსელების კონკურენციას რომ მათ არა აქვთ შესაბამის შემოსავალი, მოსაკრებლის თანხას იხდიან მხოლოდ სასტუმრო ,,სვანეთი" და კააფე- ბარი ,, სადარი". სასტუმროების ნაწილმა უარი განანაცხადა გადახადაზე. ბენზინგასამართი სადგური და ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული სამივე აფთიაქი იხდის მოსკრებლის თანხას, რაც შეეხება იურიდიულ პირებს არ იხდიან თანხას.აღნიშნული ხარვეზი არ ეხება მხოლოდ ლენტეხის რაიონის მუნიციპალიტეტს, ეს პრობლემა მთელი საქართველს მაშტაბით ფიქსირდება. რაც შეეხება სტატისტიკას ერთი შტატი გვაქვს; მერიას შეუძლია შექმნას სტატისტიკის სამსახურის განყოფილება. ჩვენს მუნიციპალიტეტს სჭირდება აღნიშნული განყოფილება.

შეკითხვა - იხდიან თუ არა კერძო მაღაზიები მოსაკრებლის თანხას?

კერძო მაღაზიები იხდიან თანხას მაგალითად ქსელური მაღაზია - სპარი. სკოლები იხდიან 50 ლარს, გაფორმებული აქვთ 10 თვიანი ხელშეკრუება. აღნიშნულ სკოლებს დაემატება ასევე ხელედის სკოლა.

რაც შეეხება ქონების რეგისტარაციის საკითხს მიმდინარეობს ეტაპობრივად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ და მიიიღეს **გადაწყვეტილება: აღნიშნული ანგარიში გატანილი იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე.**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების მართვის კომისიის სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის

თავმჯდომარე: /დ.ტვილდიანი/